ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. თებერვლის 10. № 2 ტფილისი.

შინაარსი

საადმინისტრაციო დაყოფა.

13. ახალციხის რაიონის სოფ. ნაოხრების ვალის სასოფლო საბჭოსთან შეერთებისა და ბუგარეთის სასოფლო საბჭოს ცენტრის სოფ. ბუგარეთიდან სოფ. ფერსაში გადატანისა და ამ სასოფლო საბჭოს გადარქმევის შესახებ.

14. ახალი სასოფლო საბჭოების დაარსების შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

15. 1935 წლის ანგარიშების საბალანსო კამპანიის ჩატარების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

16. იმ მუნიციპალიზებულ სახლებში, რომლების ექსპლოატაციასაც ეწევიან კომუნალური მეურნეობანი უშუალოდ ან სახლთა ტრესტების მეშვეობით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობის ფონდების შექმნის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

17. სოციალური პატრონაჟის კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სოციალური პატრონაჟის კომისიების შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

18. დროებითი შრომაუუნარობისა და ინვალიდობის შემთხვევაში ზურგის მოლაშქრეთა უზრუნველყოფისა და გარდაცვალებულ ზურგის მოლაშქრეთა ოჯახების უზრუნველყოფის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საადმინისტრაციო დაყოფა

13. დადგენილება ც.ა.კ.

012.6

ახალციხის რაიონის სოფ. ნაოხრების ვალის სასოფლო საბჭოსთან შეერთებისა და ბუგარეთის სასოფლო საბჭოს ცენტრის სოფ. ბუგარეთიდან სოფელ ფერსაში გადატანისა და ამ სასოფლო საბჭოს გადარქმევის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გამოეყოს ახალციხის რაიონის წყალთბილის სასოფლო საბჭოს ნაოხრები და შეუერთდეს ამავე რაიონის ვალის სასოფლო საბჭოს.

2. ახალციხის რაიონში შემავალი ბუგარეთის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ ბუგარეთიდან გადატანილ იქნას სოფ. ფერსაში.

3. ბუგარეთის სასოფლო საბჭოს ეწოდოს ფერსის სასოფლო საბჭო.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. დეკემბრის 30. № 112.

ტფილისი.

---

14. დადგენილება ც.ა.კ

012.6

ახალი სასოფლო საბჭოების დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაარსებულ იქნას საქართველოს სსრ-ში შემდეგი ახალი სასოფლო საბჭოები:

1. გამოეყოს სამტრედიის რაიონის გამოჩინებულის სასოფლო საბჭოს სოფლები გორმაღალი და ქვაყუდე, და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას გორმაღალ—ქვაყუდის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

2. გამოეყოს სამტრედიის რაიონის კულაშის სასოფლო საბჭოს სოფელი ჩხენიში, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას.

3. გამოეყოს საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის სასოფლო საბჭოს სოფელი ჩაილური, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას.

4. გამოეყოს საგარეჯოს რაიონის მანავის სასოფლო საბჭოს სოფელი თოხლიაური, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას.

5. გამოეყოს საგარეჯოს რაიონის სართიჭალის სასოფლო საბჭოს სოფელი მუღანლო, და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით საშუალო ადგილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. გამოეყოს ყვარლის რაიონის ყვარლის სასოფლო საბჭოს სოფლები წიწ-კაანთ-სერი და სანავარდო, ხოლო ახალ-გავაზის სასოფლო საბჭოს სოფელი კუჭატანი, და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ სანავარდოში.

7. გამოეყოს ყვარლის რაიონის ენისელის სასოფლო საბჭოს სოფლები გრემი და გრძელ-ჭალა, და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გრემში.

8. ა) გამოეყოს მარტვილის რაიონს ხუთსოფლის სასოფლო საბჭოს სოფლები ბომბოთი, სერგიეთი და წინა-კვერკვე, და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ სერგიეთში;

ბ) ხუთსოფლის სასოფლო საბჭოს დაერქვას ნახუნოვოს სასოფლო საბჭო.

9. გამოეყოს მარტვილის რაიონის კიწიის სასოფლო საბჭოს სოფელი გურძემი I, ხოლო ამავე რაიონის თამაკონის სასოფლო საბჭოს სოფელი გურძემი II, და დაარსდეს ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით ნაქიაჩში.

დაევალოს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიტანოს 1936 წლის ბიუჯეტში ამ დადგენილებით გათვალისწინებულ 9 სასოფლო საბჭოების დაარსებით გამოწვეული ხარჯები.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. დეკემბრის 30. № 113.
ტფილისი.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

15. დადგენილება ს.კ.ს.

1935 წლის ანგარიშების საბალანსო კამპანიის ჩატარების შესახებ.

1935 წლის ანგარიშების საბალანსო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს, უწყებას და სამეურნეო შენაერთს, რომლის გამგებლობაშიაც არის სამეურნეო ანგარიშის მქონე სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ორგანიზაციები:

ა) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 3-ისა, წინა წლების შაგალითისამებრ, მოაწყოს საბალანსო კომისიები და გაშალოს მუშაობა 1935 წლის ანგარიშების საბალანსო კამპანიის ჩასატარებლად;

ბ) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 5-ისა დაადგინოს იმ სამეურნეო ორგანოების ზედმიწევნითი სია, რომელთა ბალანსებიც 1935 წლამდე განხილულ უნდა იქნას, და მიამაგროს ცალკეულ ორგანიზაციებს პასუხისმგებელი მომუშავენი, რომელნიც პასუხს აგებენ როგორც ანგარიშების სასწრაფოდ წარდგენისა, ისე ამ ანგარიშების თვისებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 7-ისა განსაზღვროს ანგარიშების განხილვის საკალენდრო ვადები და მტკიცედ იხელმძღვანელოს ანგარიშების წარდგენისათვის სათანადო უწყებების ხაზით დადგენილი ვადები.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) 1935 წ. იანვრის 10-მდე შეამოწმოს კომისარიატების, უწყებებისა და სამეურნეო შენაერთების მზაყოფნა საბალანსო კამპანიისათვის და შემოწმების შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ბ) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 10-ისა მოაწყოს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, ტფილისში საფინანსო-საბანკო და სამეურნეო ორგანოების მომუშავეთა კონფერენცია და მოისმინოს მოხსენება ახალი საბალანსო კამპანიის ამოცანების შესახებ.

3. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ა) არა უგვიანეს 1936 წ. იანვრის 5-ისა მოაწყონ საბალანსო კომისიები და დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა 1935 წ. ანგარიშების საბალანსო კამპანიის ჩასატარებლად;

ბ) სისტემატურად მოისმინონ საბალანსო კომისიების მოხსენებანი და უზრუნველყონ ყველა სამრეწველო, სავაჭრო, კომუნალური და კოოპერაციული საწარმოს და ორგანიზაციისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულების საბალანსო კამპანიაში სავსებით ჩაბმა და წლიური ანგარიშების მაღალხარისხოვანი ანალიზი.

4. ფართოდ იქნას გაშუქებული ბეჭდვითს ორგანოებში, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, საბალანსო კამპანიისათვის საჭირო მუშაობის მსვლელობა და ბალანსების ანალიზის შედეგები.

5. საბალანსო კამპანიის შედეგები მოხსენდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს არა უგვიანეს 10 დღისა საბალანსო კომისიის მიერ უკანასკნელი ანგარიშის განხილვის დღიდან.

6. საბალანსო კამპანიის შედეგები დამუშავებულ იქნას მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის ყველა უხეში დარღვევა, რაც გამოირკვევა ცალკეული წლიური ანგარიშების განხილვის პროცესში, დაუყოვნებლივ, საბალანსო კამპანიის დამთავრებამდე, აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. მიენდოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მტკიცე თვალყური ადევნოს ამა დადგენილების აღსრულებას და ყოველგვარი გადახრა მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1936 წ. იანვრის 2 № 1.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 3 №-ში 1936 წ. იანვრის 4.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

16. დადგენილება ს.კ.ს.

67

იმ მუნიციპალიზებულ სახლებში, რომლების ექსპლოატაციასაც ეწევიან კომუნალური მეურნეობანი უშუალოდ ან სახლთა ტრესტების მეშვეობით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობის ფონდების შექმნის შესახებ.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გასაწევად იმ მუნიციპალიზებული სახლების მოსახლეობისათვის, რომლების ექსპლოატაციასაც ეწევიან კომუნალური მეურნეობანი უშუალოდ ან სახლთა ტრესტების მეშვეობით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას თითოეულ სახლთმფლობელობაში, რომლის ექსპლოატაციასაც ეწევა კომუნალური მეურნეობა უშუალოდ ან სახლთა ტრესტის მეშვეობით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდში გადასადები ანარიცხები საბინაო ქირის 5%-დან 9%-მდე რაოდენობით, სახლთმფლობელობის ბიუჯეტის ძალოვნების კვალობაზე, რასაც თითოეული სახლთმფლობელობისათვის განსაზღვრავს ის ორგანო, რომლის გამგებლობაშიაც სახლმფლობელობაა.

2. 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ფონდები ინახება კომუნალურ ბანკში იმ ორგანოს მიმდინარე ანგარიშზე, რომლის გამგებლობაშიაც სახლმფლობელობაა.

3. კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდების სახსრის გამოყენების გეგმებს ადგენენ ის ორგანოები, რომელთა გამგებლობაშიაც სახლთმფლობელობანია, შემდეგ საფუძველზე:

ა) ანგარიშში მიიღება სახლთმფლობელობის მოსახლეობის მოთხოვნანი და სურვილნი;

ბ) სახლთმფლობელობანი, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, დაიყოფიან ცალკეულ ჯგუფებად—ისე, რომ ერთი რომელიმე ჯგუფის სახლების მიერ გადარიცხული სახსარი მიქცეულ იქნას იმ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობასა და გაწყობაზე, რომელნიც უწევენ მომსახურეობას ამ ჯგუფის სახლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობისა და გაწყობის გეგმებს ამტკიცებენ სათანადო საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

5. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფონდის სახსარი გამოიყენება მარტოოდენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობასა და გაწყობაზე და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაიხარჯოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ექსპლოატაციაზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობაზე და სხვა მიზანზე.

6. კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდის სახსრის ხარჯვის ანგარიშებს ის ორგანოები, რომელთა გამგებლობაშიაც სახლთმფლობელობანია, წარუდგენენ დასამტკიცებლად სათანადო საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

7. ამა დადგენილების მე-5 მუხლის არაშესაბამისად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფონდის სახსრის გამოყენებისათვის დამნაშავე პირნი მიიცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებისამებრ თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ.

8. დადგენილება ესე ქალაქ ტფილისის მიმართ შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1936 წ. იანვრის 1-დან, ხოლო სხვა ქალაქებში ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღების ვადებს განსაზღვრავს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

9. მიენდოს აფხაზეთის ასრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. დეკემბრის 29. № 1769.
ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

923.5
057.41

17. დადგენილება ც.ა.კ.

სოციალური პატრონაჟის კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქვემომდევნო დებულება სოციალური პატრონაჟის კომისიების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ ანალოგიური დებულებანი სათანადო რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

სრ. საქ ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. ნოემბრის 26. № 111.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება

სოციალური პატრონაჟის კომისიების შესახებ.

1. ზოგადი დებულებანი.

1. პროფილაქტორიუმებიდან გამოსულ მუშა-ქალთა და უპატრონო ქალთა შორის საწარმოო-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო-საალმზრდელო მუშაობის წესიერად დაყენებისათვის, აგრეთვე პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დირექტივების პრაქტიკული განხორციელებისათვის ეწყობა სოციალური პატრონაჟის რესპუბლიკანური და ადგილობრივი კომისიები.

2. სოციალური პატრონაჟის რესპუბლიკანური და ადგილობრივი კომისიები იურიდიული პირებია და მათ უფლება აქვთ დადვან ხელშეკრულებანი და გარიგებანი, ისარჩელონ და პასუხი აგონ სასამართლოში მათთვის დაკისრებულ ამოცანათა განხორციელებისათვის საჭირო ფარგლებში, აგრეთვე გახსნან დამხმარე სასწავლო-საწარმოო წამოწყებანი, რაც საჭიროა მათი მუშაობის გაშლისათვის.

3. სოციალური პატრონაჟის კომისიებს აქვთ ბეჭედი და შტამპი თავიანთი სახელწოდებისა.

II. სოციალური პატრონაჟის ცენტრალური რესპუბლიკანური კომისია.

4. სოციალური პატრონაჟის ცენტრალური რესპუბლიკანური კომისია ეწყობა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან.

5. სოციალური პატრონაჟის ცენტრალური რესპუბლიკანური კომისიის შედგენილობაში შედიან: ა) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო-საპროფილაქტიკო სამმართველოს უფროსი (კომისიის თავმჯდომარე), ბ) დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (თავმჯდომარის მოადგილე), გ) ტფილისის საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენელი, დ) სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი და ე) მედიკო-სანიტარული შრომის მომუშავეთა კავშირის წარმომადგენელი.

6. სოციალური პატრონაჟის ცენტრალურ რესპუბლიკანურ კომისიას ეკისრება შემდეგი ამოცანები:

ა) გააერთიანოს და წარმართოს სოციალური პატრონაჟის კომისიების საქმიანობა;

ბ) შეიმუშაოს ღონისძიებანი პროფილაქტორიუმებიდან გამოსულ მუშა-ქალთა მოწყობისა, მათთვის ყოველდღიური შრომითი დახმარების გაწევისა და მათი საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის;

გ) გაუწიოს ინსტრუქტირება სოციალური პატრონაჟის კომისიებს ქალთა პროსტიტუციისა და უპატრონობის ლიკვიდაციისათვის საჭირო რაციონალურ ღონისძიებათა სფეროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) აწარმოოს სოციალური პატრონაჟის ამოცანების პოპულარიზაციისა და სასანიტარო-საპროფილაქტიკო და სააღმზრდელო მუშაობა მშრომელთა შორის (ლექციები, საუბრები, სასანიტარო წარმოდგენები და სხვა მისთ.);

ე) გაუწიოს ხელმძღვანელობა გამოკვლევებით პროფილაქტორიუმების სამკურნალო-სააღმზრდელო მუშაობას;

ვ) ხელი შეუწყოს ვენერულ ავადმყოფობათა ხელმისაწვდენ უფასო მკურნალობის ორგანიზაციებს (ვენეროლოგიური დისპანსერების, პროფილაქტორიუმების, ვენეროლოგიური კაბინეტებისა და სხვა მისთ. ქსელის გაფართოება);

ზ) შეიმუშაოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სამკურნალო-საპროფილაქტიკო სამმართველოსთან და დედობისა და ბავშვობის დაცვის სამმართველოსთან ერთად, ღონისძიებანი ვენერულ ავადმყოფობათა ბუდეების შესწავლისა და ლიკვიდაციისათვის, კერძოდ—შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი საბავშვო ასაკში დაავადებასთან ბრძოლისათვის;

თ) განახორციელოს პრაქტიკულად პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალური რესპუბლიკანური საბჭოს დირექტივები;

ი) აღრიცხოს სოციალური პატრონაჟის კომისიების მუშაობა და ანგარიში წარუდგინოს პროსტიტუციასთან ბრძოლის ცენტრალურ რესპუბლიკანურ საბჭოს.

III. სოციალური პატრონაჟის ადგილობრივი კომისიები.

7. სოციალური პატრონაჟის ადგილობრივი კომისიები ეწყობიან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების ჯანმრთელობის განყოფილებებთან.

8. სოციალური პატრონაჟის ადგილობრივ კომისიაში შედიან: ა) ჯანმრთელობის განყოფილების გამგე (კომისიის თავმჯდომარე), ბ) ჯანმრთელობის განყოფილების სამკურნალო-საპროფილაქტიკო ჯგუფის გამგე (თავმჯდომარის მოადგილე), გ) ალკ წარმომადგენელი, დ) მედიკო-სანიტარული შრომის მომუშავეთა კავშირის წარმომადგენელი, ე) სახალხო განათლების განყოფილების წარმომადგენელი, ვ) სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი, ზ) წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების წარმომადგენელი, თ) მილიციის უფროსი და ი) ვენდისპანსერის გამგე.

9. სოციალური პატრონაჟის ადგილობრივი კომისიის ამოცანებს შეადგენს:

ა) მოაწყოს უპატრონო ქალთა აღრიცხვა;

ბ) მოაწყოს სამკურნალო-საშრომო პროფილაქტორიუმები;

გ) მოაწყოს პროფილაქტორიუმებიდან გამოსული მუშა-ქალები და აგრეთვე ის მუშა-ქალები, რომელნიც იყვნენ სამუშაოზე, ხოლო დაკარგეს ეს სამუშაო და იმყოფებიან სოციალური პატრონაჟის აღრიცხვაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გაუწიოს ყოველდღიური შრომითი დახმარება საწარმოში პროფილაქტორიუმებიდან გამოსულ მუშა-ქალთა (ხარისხის ამაღლება, სამუშაოზე გამოყენება სპეციალობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, დასვენების სახლებსა და სანატორიუმებში მოწყობა);

ე) გაგზავნოს მუდმივ საცხოვრებელ ადგილას გამოსწორებული და გამოჯანსაღებული მუშა-ქალნი, რომელთაც ჰსურთ სამშობლოში დაბრუნება;

ვ) გააუმჯობესოს პროფილაქტორიუმებიდან გამოსულ მუშა-ქალთა საბინაო პირობები, გაუწიოს მათ დახმარება მათ და ადმინისტრაციას შორის აღძრული შრომის კონფლიქტების გადაწყვეტის დროს და დაიცვას მათი ინტერესები სასამართლოსა და სხვა ორგანოებში;

ზ) თვალყური ადევნოს პატრონაჟის აღრიცხვაზე მყოფ ქალთა წესიერ მკურნალობას და ზედამხედველობა გაუწიოს მათ ყოფა-ქცევას ცხოვრებაში;

თ) გაუწიოს დახმარება პასპორტის მიღების დროს უპატრონო და გამოსწორებულ ქალთ, რომელნიც იგზავნებიან სამკურნალო პროფილაქტორიუმებიდან წარმოებაში;

ი) გამოიკვლიოს პროფილაქტორიუმების სამკურნალო-სააღმზრდელო მუშაობა;

კ) გაგზავნოს პროფილაქტორიუმებიდან გამოსული მუშა-ქალნი სასწავლებლად (კვალიფიკაციის ამაღლება, გარდამზადების კურსები, ტექნიკუმები და სხვ. მისთ.);

ლ) განახორციელოს ღონისძიებანი პროსტიტუციისა და უპატრონობის ლიკვიდაციისათვის, რაშიაც ჩააბას საზოგადოებრიობა და მილიციის ორგანოები;

მ) აღრიცხოს კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობა და ანგარიში წარუდგინოს სოციალური პატრონაჟის რესპუბლიკანურ კომისიას.

IV. სოციალური პატრონაჟის კომისიების სახსარი.

10. სოციალური პატრონაჟის კომისიების სახსარს შეადგენს: ა) სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული ასიგნები; ბ) პროსტიტუციასთან ბრძოლის რესპუბლიკანური საბჭოს დოტაცია; გ) დამხმარე სასწავლო-საწარმოო წამოწყებათა შემოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფა

18. დადგენილება ს. კ. ს.

932.2

დროებითი შრომაუუნარობისა და ინვალიდობის შემთხვევაში ზურგის მოლაშქრეთა უზრუნველყოფისა და გარდაცვალებულ ზურგის მოლაშქრეთა ოჯახების უზრუნველყოფის წესის შესახებ.

„დროებითი შრომაუუნარობის შემთხვევაში ზურგის მოლაშქრეთა და გარდაცვალებულ ზურგის მოლაშქრეთა ოჯახების უზრუნველყოფის წესის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ნოემბრის 14-ის თარიღის და 2481 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაეკისროს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს პენსიით ის ზურგის მოლაშქრენი, რომელნიც დაინვალიდდენ ზურგის ლაშქრის ნაწილებში სამსახურის დროს, და გარდაცვალებულ ზურგის მოლაშქრეთა ოჯახების შრომაუუნარო წევრნი, უკეთუ ეს ზურგის მოლაშქრენი გარდაიცვალნენ ზურგის ლაშქრის ნაწილებში სამსახურის დროს; აგრეთვე გაუწიოს ინვალიდ ზურგის მოლაშქრეთ საპროტეზო დახმარება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1935 წ. ნოემბრის 14-ის თარიღისა და 2481 №-ის, დადგენილებით განსაზღვრულ საფუძველზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. დეკემბრის 29. № 1768.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 3. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 48.500 სტამბ. ნიშანი.

გადაეცა სტამბას 5/XII; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/II; ტირაჟი 2.000.

მთავლ. რწმ. № 87028 საქ. სსრ სახკომსაბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა. შეკვ. № 42